სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/89

ქ. თბილისი 22 07 2020 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩასატარებელი სამუშაოს განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების საფუძველზე

ვბრძანებ

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) შიდა აუდიტის სამსახურსს დაევალოს უნივერსიტეტის საგეგმო-საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტების ოთხი წლის (2016-2020 წლები) ფინანსური ანგარიშგების შემოწმების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და წარმოდგენა არაუგვიანეს 2020 წლის 1 აგვისტოსი;
2. უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურსს დაევალოს 2019 წლის 1 იანვრიდან და 2020 წლის 1 აგვისტომდე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება შიდა აუდიტის სამსახურის დებულების შესაბამისად და ანგარიშის წარმოდგენა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა;
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულებისთვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

რექტორი დავით გურგენიძე